

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობა

შპს „რუსთავი ჯგუფი“

შპს „რუსმეტალი“

3 თებერვალი, 2015 წ.

თბილისი.

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ;

მეორე მხრივ, შპს „რუსთავი ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო კოდი: 416291220, წარმოდგენილი დირექტორის დავით მინდელის მიერ;

მესამე მხრივ შპს „რუსმეტალი“ - საიდენტიფიკაციო კოდი: 216406306, წარმოდგენილი დირექტორის თემურ მიმინოშვილის მიერ;

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში „მემორანდუმი“) შემდეგზე:

ვინაიდან საქართველოს მთავრობას და შპს „რუსმეტალს“ შორის 2009 წლის 27 ივლისის დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი „ლუხუნიჰესი 1“, „ლუხუნიჰესი 2“ და „ლუხუნიჰესი 3“ პროექტების განხორციელებაზე;

ვინაიდან შეიცვალა ჰიდროელექტროსადგურ „ლუხუნი 2“-ის ელექტროსისტემის ქსელთან მიერთების სქემა, რამაც განაპირობა ჰიდროელექტროსადგურის ქვესადგურთან დამაკავშირებელი ხაზის მშენებლობის ვადის გახანგრძლივება;

ვინაიდან, შპს „რუსმეტალის“ მიერ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებისათვის შესაბამისი ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების წარმოების პროცესში, ამავე დამფინანსებლების მიერ დაყენებული იქნა მოთხოვნა წინამდებარე პროექტის შპს „რუსმეტალიდან“ გამიჯვნისა, იმ საფუძველით, რომ შპს „რუსმეტალი“ წინამდებარე პროექტის გარდა საქართველოში ახორციელებს სხვადასხვა სფეროში სამეწარმეო საქმიანობას;

ვინაიდან „ლუხუნიჰესი 3“-ის და „ლუხუნიჰესი 1“-ის მშენებლობა თავდაპირველი მემორანდუმის (27.07.2009) შესაბამისად დაგეგმილი იყო 2015-2025 წლებში და ვინაიდან შპს „რუსმეტალს“ ამჟამად არ გააჩნია შესაბამისი ფინანსური სახსრები დაჩქარებულ ვადებში განახორციელოს „ლუხუნიჰესი 3“ და „ლუხუნიჰესი 1“ პროექტები, შპს „რუსმეტალი“ ითავლისწინებს, რა სახელმწიფო ინტერესებს და სახელმწიფოს უბრუნებს „ლუხუნიჰესი 3“- და „ლუხუნიჰესი 1“ პროექტებს.

ვინაიდან „ლუხუნიჰესი 2“ პროექტის განხორციელება შპს „რუსმეტალის“ მიერ დაწყებულია, კერძოდ მიღებული აქვს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა და დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები;

ამჟამად მხარეები თანხმდებიან, ნაცვლად 2009 წლის 27 ივლისის ურთიერთგაგების მემორანდუმისა გააფორმონ ახალი ურთიერთგაგების მემორანდუმი („ლუხუნიჰესი 2“ პროექტის განხორციელებაზე) მოდიფიცირებული და დახვეწილი პირობებით, რომელიც თავიდან აყალიბებს მხარეთა შორის სახელმწიფოებო ურთიერთობებს და შესაბამისად წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლის დღიდან 2009 წლის 27 ივლისის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი დაკარგავს ძალას.

I - განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდალურ დღეს/დღეებს.

- 1.2. „ელექტროსადგური“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურს - „ლუხუნიპესი 2“.
- 1.3. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.
- 1.4. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას და კომპანიას ერთობლივად.
- 1.5. „პროექტი“ ნიშნავს ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
- 1.6. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.

II - მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების მიხედვით და ამ მემორანდუმში შეთანხმებული პირობებით და ვადებში პროექტის განხორციელებას.

III - სამშენებლო ფაზა

3. სამშენებლო ფაზა იწყება წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან და სრულდება ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ფაქტობრივ დღეს, მაგრამ არაუგვიანეს მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადისა;
4. სამშენებლო ფაზაში კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა, განაახლოს და დაასრულოს ელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიიღოს იგი წინამდებარე მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადების დაცვით;
5. სამშენებლო ფაზაში კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯით, უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების სრული და თავისუფალი წვდომა ელექტროსადგურის სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით და შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი;
6. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ნებისმიერი ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას თითოეულ დარღვეულ ვადაზე შემდეგი ოდენობით:
 - პირველი 20 დღის განმავლობაში - 200 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
 - შემდეგი 20 დღის განმავლობაში - 300 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
 - მომდევნო 20 დღის განმავლობაში - 400 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
 - მომდევნო პერიოდზე, მემორანდუმის გაუქმებამდე - 500 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

IV-ელექტროენერჯის რეალიზაცია

7. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან სრული ექსპლუატაციის პერიოდზე, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი და თებერვალი („ზამთრის თვეები“)) ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად კომპანიის არჩევნით საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალ (დერეგულირებულ) ფასად. აღნიშნული პერიოდის გარდა კომპანია უფლებამოსილია განახორციელოს გამომუშავებული

ელექტროენერჯის რეალიზაცია (ადგილობრივ ბაზარზე ან/და ექსპორტზე) საკუთარი შეხედულებისამებრ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

V - მემორანდუმის გაუქმება

8. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - 8.1. კომპანიის მიერ დარღვეულია წინამდებარე მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადები საერთო ჯამში 200 დღეზე მეტი ვადით ან/და კომპანიის მიერ დარღვეულია წინამდებარე მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული რომელიმე ვადა ერთჯერადად 30 დღეზე მეტი ვადით;
 - 8.2. კომპანიამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე;
 - 8.3. კომპანიამ არსებითად დაარღვია მემორანდუმის ან/და მისი დანართების ნებისმიერი პირობა, რის შედეგადაც მემორანდუმი კარგავს მის თავდაპირველ მნიშვნელობას;
9. მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება, რა შემთხვევაშიც მთავრობა უფლებამოსილია გამოაცხადოს ღია აუქციონი (აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადგენილ საბაზრო ფასად) პროექტის განხორციელების თაობაზე, ამასთან კომპანია, თავის მხრივ ვალდებულია აუქციონში გამარჯვებულ პირს, აუქციონში დაფიქსირებული თანხის სანაცვლოდ გადასცეს ექსლუზიური საკუთრების უფლებები პროექტის განხორციელებისათვის საჭირო აქტივებზე სრულად, მათ შორის:
 - 9.1. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწებზე შესაბამისი უფლებები;
 - 9.2. კომპანიის ხელთ არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანგარიშისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტები და ნახაზები.
10. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად, მთავრობასთან 90 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ მთავრობა არსებითად დაარღვევს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს.
11. კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 11.1. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწებზე უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლებები) გადაეცემა მთავრობას უსასყიდლოდ. ამასთან კომპანია უფლებამოსილია დემონტაჟი გაუკეთაო პროექტის ფარგლებში არსებულ მოძრავ ქონებას;
 - 11.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
 - 11.3. კომპანიის ხელთ არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანგარიშისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტების და ნახაზების (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებული დოკუმენტების) გამოყენების ექსკლუზიური უფლება გადაეცემა მთავრობას;
 - 11.4. კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს მის მიერ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აუდიტირებული და დოკუმენტურად დადასტურებული დანახარჯი სრულად.

VI - მთავრობის ვალდებულებები

12. მთავრობა ვალდებულია:

- 12.1. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალური დახმარება გაუწიოს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს;
- 12.2. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით გადაცემას.

VII - მემორანდუმის ცვლილება

13. ცვლილებები

- 13.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 13.2. თუ ამ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება დაკარგავს ძალას, ეს არ იქონიებს გავლენას სხვა დებულებებზე.

VIII - მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

14. მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
15. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

IX - ფორს-მაჟორი

16. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, ამბოხი, აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტი, უცხოური მოწინააღმდეგის მიერ ჩადენილი მტრული ქმედება, ბლოკადა, ემბარგო, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური ან ნებისმიერი უბედურება ან მსგავსი მოვლენა.
17. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის მემორანდუმით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის ვალდებულების ან/და უფლებამოსილების შესრულებას, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და მეორე მხარეს არ ექნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი ამ საფუძველით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულ შემთხვევაში მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევეს ფორს-მაჟორული მოვლენების არსებობის ვადის შესაბამისად.
18. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება ერთ წელზე მეტი ვადით, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინემდებარე მემორანდუმი მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

X - დამატებითი დებულებები

19. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

20. წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლის დღიდან ძალას კარგავს 2009 წლის 27 ივლისის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი.
21. წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლის დღიდან შპს „რუსმეტალის“ ნაცვლად მემორანდუმის მხარედ განისაზღვროს მისივე 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „რუსთავი ჯგუფი“. შესაბამისად შპს „რუსმეტალი“ თანახმაა გადასცეს, ხოლო შპს „რუსთავი ჯგუფი“ თანახმაა იკისროს შპს „რუსმეტალის“ მიერ მემორანდუმის ფარგლებში აღებული ვალდებულებები და უფლებები სრულად.
22. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარუფლებიან ეგზემპლარად.

XI - ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „რუსმეტალი“

თემურ მიმინოშვილი

შპს „რუსთავი ჯგუფი“

დავით მინდელი

დანართი N1

#	ჰიდროელექტროსადგურის დასახელება	ადგილმდებარეობა	წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
1	"ლუხუნჯიქსი 2"	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	73,58 მლნ. კვტ. სთ.	12,00 მგვტ.


სავარაუდო საინვესტიციო ოდენობა:	23 000 000.00 აშშ დოლარი
---------------------------------	--------------------------

Handwritten signatures and marks at the bottom of the page.

დანართი N2

სამუშაოების განახლების თარიღი	01.10.2014
ბიძგულუბანიძე მიწების თარიღი	31.12.2017

	01.04.2015	01.10.2015	01.04.2016	01.10.2016	01.04.2017	01.10.2017	31.12.2017
შესარულეული სამუშაოების ვადა		575 მ	575 მ	575 მ	575 მ		საცდელი პერიოდი
გვირამის გაცენა		960 მ	508 მ	1500 მ	3040 მ	332 მ	საცდელი პერიოდი
გვირამის რეტორირება		მინის სამუშაოების დასრულება და ხეობის 50%-ის ჩასხმა	სათავე კვანძის ნაგებობის დასრულება	მინის სამუშაოების დასრულება და ფუნდამენტის ჩასხმა	ქვის მუშობის მშენებლობის დასრულება		საცდელი პერიოდი
სათავე კვანძის ნაგებობის მშენებლობა		მისაცვლილი გზების მისაცვლილი გზების მშენებლობის დასრულება და ქვის მუშობის მშენებლობის დაწყება	მისაცვლილი გზების მშენებლობის დასრულება და ქვის მუშობის მშენებლობის დაწყება	ტურბინა-გენერატორების დაწყება	ქვის მუშობის მშენებლობის დასრულება		საცდელი პერიოდი
ქვის მუშობის მშენებლობა		მისაცვლილი გზების მისაცვლილი გზების მშენებლობის დასრულება და ქვის მუშობის მშენებლობის დაწყება	მისაცვლილი გზების მშენებლობის დასრულება და ქვის მუშობის მშენებლობის დაწყება	ტურბინა-გენერატორების დაწყება	ქვის მუშობის მშენებლობის დასრულება		საცდელი პერიოდი
ტურბინა გენერატორები		ტურბინა-გენერატორებზე შეკეთების გახსნა	ტურბინა-გენერატორების დაწყება	ტურბინა-გენერატორების დაწყება	ტურბინა-გენერატორების ადგილზე ჩამოტანა	ტურბინა-გენერატორების მონტაჟის დასრულება	საცდელი პერიოდი
110 კვტ გადამდენი ხაზის მშენებლობა (18 კმ)	პროექტირების დაწყება	პროექტირების დასრულება, მშენებლობის დაწყება	ტრასის 6 კმ მონაკვეთის გასუფთავების, გზების გაყვანის, ანბების მონტაჟის დასრულება	ტრასის 3 კმ მონაკვეთის გასუფთავების, გზების გაყვანის, ანბების მონტაჟის დასრულება	ტრასის 6 კმ მონაკვეთის გასუფთავების, გზების გაყვანის, ანბების მონტაჟის დასრულება	მშენებლობის დასრულება	საცდელი პერიოდი



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№83 2015 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „რუსმეტალს“ და შპს „რუსთავი ჯგუფს“ შორის
„ლუხუნიჰესი 2“ პროექტის განხორციელების შესახებ, დასაბუთებული
ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „რუსმეტალს“ და
შპს „რუსთავი ჯგუფს“ შორის დასაბუთებული ურთიერთგაგების მემორანდუმის
პროექტი „ლუხუნიჰესი 2“ პროექტის განხორციელების თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და
საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად,
ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი
მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი *წ.*



ირაკლი ლარიბაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010123559196514

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: in@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: in@justice.gov.ge

№10284

24 / ნოემბერი / 2014 წ.

საქართველოს ენერგეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2014 წლის 17 ნოემბრის №04/4229 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „რუსმეტალს“ და შპს „რუსთავი ჯგუფს“ შორის დასაადგილი ორი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი და გაცნობებთ, რომ მათთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

აქვე გაცნობებთ, რომ ხელშეკრულებების პროექტები შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზს, კერძოდ, ხელშეკრულებების პროექტების 23-ე (ლუხუნიძესი 1) და მე-20 (ლუხუნიძესი 2) მუხლების შინაარსი ერთობლიობაში უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ, წინამდებარე ხელშეკრულებების პროექტების გაფორმების შემთხვევაში, სრულად შეწყდეს 2009 წლის 27 ივლისს საქართველოს მთავრობასა და შპს „რუსმეტალს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის მოქმედება.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე